ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4349739

ნომერი: AR1654980

თარიღი : 18.01.2019

გაცემის თარიღი : 28.01.2019

გაცნობის თარიღი : 30.01.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი N11);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქებურია პ/ნ 62001039520
- ქ.თბილისი დ.დიღომი დ.თავდადებულის N18

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვალერიანე იობიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18 იანვრის NAR1654980 განცხადებით მომართა დავით ქებურიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, შატბერაშვილისა და კეკელიძის ქ. მიმდებარედ (ნაკვეთი N11) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზის წინასწარი შეთანხმება.

ამასთან, განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისში, შატბერაშვილისა და კეკელიძის ქ. მიმდებარედ (ნაკვეთი N11) არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.12.003.016) მდებარეობს გეოსაშიშროების მაღალი კატეგორიის ზონაში. გეოსაშიშროებიდან გამომდინარე განხორციელდა ქ. თბილისის არეალის დარაიონება (ზონირება) კატეგორიების მიხედვით, კერძოდ: დაბალი, საშუალო და მაღალი კატეგორიები, სადაც თავის მხრივ გათვალისწინებულია ტერიტორიის მორფოლოგიური (რელიეფი), ჰიდროგეოლოგიური (მიწისქვეშა წყლები) და ჰიდროლოგიური (დატბორვა) პირობები, გეოლოგიური აგებულება, ტერიტორიის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური (გეოტექნიკური) მახასიათებლები, თანამედროვე სტიქიური პროცესები და ანთროპოგენური ფაქტორი. გეოსაშიშროების მაღალი კატეგორია წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც რელიეფი დახრილია (20^0-ზე მეტი) და ძლიერ დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან და ქანების წოლის ელემენტები ძირითადად თანხვედრილია ფერდობების დახრილობის მიმართულებებთან, წყალსადინარების ჭალა-კალაპოტის (მათ შორის დატბორვის) ზონები და გამოირჩევიან სტიქიური პროცესების მასშტაბური განვითარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ტერიტორია მდებარეობს გეოსაშიშროების მაღალი კატეგორიის ზონაში და წარმოდგენილი ესკიზი (არქიტექტურული პროექტი) ქმნის დიდ მოცულობას, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.